№ 119 ივნისი 8, ოთხშაბათი 1888 ივნისი 8, ოთხშაბათი № 119

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ქვრივი დეკანოზისა, ეფემია გიორგის ასული, და იაკობ და ანდრია ივანეს ძენი იმნაძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა დეკანოზის პეტრე იმნაძისას, პირველი ქმრისას და მეორენი მმისას, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და მცნობთა მობრძანდნენ გვამის გამოსვენებაზედ წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში ამ თთვის 9-ს, ხუთშაბათს, დილის 9 საათზედ. ხოლო პანაშვიდი იქნება ყოველ დღე, დილასაღამოთი, 11-სა და 7 ს საათზედ, გვამის განსვენებამდის.

5 ივნისს შუა-ბაზრის ქუჩაზე
დაიკარგე
ქართული ხელ-ნაწერი:
«დედაჩემი და ჩემი ბიძები».

ვინც იპოვოს, ვსთხოვთ წარუდგინოს გაზეთ „ივერიის" რედაქციას და ჯილდოს მიიღებს.

(2–1)

ტფილისი, 7 ივნისი

მეორე სენი, რომელიც ვრცელდება ჩვენს საზოგადოებაში, არ ჩამოუვარდება იმ სენს, რაზედაც ვილაპარაკეთ ამას წინად, ესე იგი ქურდობას. ეს მეორე სენი გახლავსთ—შურის-ძიებით დაწვა, გაოხრება და განადგურება მოძმის ქონებისა და საცხოვრებლისა.

ამ სენმა შემოდვა ჩვენში ფეხი ქვემო თათრებიდგან, მოედო მთელს სიღნაღის მაზრას, აქედგან გადავიდა თელავის მაზრაზედაც და აგერ რაჭაშიაც ამოუყვია თავი! ღამის ეს სენი მთელს საქართველოს გაუჩნდეს ჩრჩილივით მომდებ ჭირივით. რომ გადავათვალიეროთ წარსულის წლების გაზეთების ნომრები, მგონია არა ერთი საზარელი ნიმუში ამოვიკითხოთ ამ სენისაგან მოვლინებული, და, ვინ იცის, რამდენმა შემთხვევამ კიდევ არ მიაღწია გაზეთის ყურამდე?!

მთელი ორი სოფელი: ახატელი და ყარაჯალა (თელავის მაზრაში), სადაც უმეტესი წილი თათრობა სახლობს, შეძრწუნებულია იმ ბოროტ-მოქმედთაგან, რომელნიც არა ჰზოგვენ მეზობლის ნაამაგდარს დასაწველად. ბევრს ახსოვს—და დიდი ხანიც არ არის მას აქეთ—რაც გ. მაყაშვილს გადაუწვეს შინ მოტანილი ძნა,—მთელის წლის სარჩო! ან შორს რად მივდივართ. აგერ „ივერიაში" (ამ წელს № 85) ჩამოთვლილნი ავაზაკობანი ცხადად გვიხატვენ სურათს ხსენებულის სენის გავრცელებისას. ამ სურათში ვხედავთ, რომ დეკანოზს ვაწაძეს უწვენ ბეღელს, ევნაძეს და მღვდელს დვალს — მარნებს, წულუკიძეს — წისქვილს და იმასვე სახლ-კარსა და ბეღელს!.. ვუყურებთ კიდევ და ვხედავთ, რომ მღვდელს ფოფხაძეს უწვენ საბძელს, შემდეგ იმისა, როცა მან უქადაგა სამწყსოს ხსენებულის სენის მოსასპობლად! მოდით და გული ნუ აგემღვრევათ იმ გვარს ბოროტს სულზე, რომელიც ხელ-ცარიელსა ჰსვამს მოყვასს, ოღონდ-კი იმისი ჯავრი ამოიყაროს! მოდით და გაისარჯენით, იშრომეთ, იღვაწეთ თავისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ამ გვარს შემკრთალს მდგომარეობაში... ახლა ვიკითხოთ: რა აწყენინა ამოდენი ან მაყაშვილმა, ან ფოფხაძემ, ან წულუკიძემ, ან ვაწაძემ და ან სხვათა იმ სენ მოდებულს ავაზაკებს, რომ ასე გულ-ქვად, დაუნდობლად მისცეს ცეცხლს ამათი ქონება?—უეჭველია დანაშაული დაზარალებულთა არ იქნებოდა ამ სისხო და, ვინ იცის, იქნება სრულიადაც მიზეზი არა მიეცესთ-რა ბოროტ-მოქმედთათვის, რომ მათ ჰქონოდეთ საფუძველი შურის-ძიებისა. ან რა ისარგებლეს ავაზაკებმა თავისის საზიზღარის ქცევით? ქვეყანას მოაკლეს იმოდენივე ქონება, რამდენიც გააუქმეს ცეცხლით, დააკლეს მოძმეს და თითონაც დაიკლეს... თითონ დაიკლესო, ვიმეორებთ იმ აზრით, რომ მდაბიო ხალხს საფუძვლიანად უთქვამს: „თუ მეზობელი მდიდარი გყავს, შენც მდიდარი ხარო"... და ეხლა-კი ორივე მხარე გაღარიბებული, გაღატაკებულია!.. ეს შეიმატა სხვის სარჩოს დამწველმა, თავისის დაფარული, მგლურის ქცევით!... მაგრამ რა შედარებაა მგლისა კაცთან? მგელი თუ იტაცებს, აზიანებს კაცს, იმისთვის, რომ საზრდო იშოვოს, თუნდა ტაცებითაც. და ამ შემთხვევაში კაცი მგელზე უარესი გამოდგა: სხვას დააკლო და თითონ არა ირგო-რა; იმის მოქმედების ნაყოფიდგან მგელსაც-კი აღარა ჰხვდა-რა.

ზოგმა უფრო წინ წასდგა ფეხი და, შურის-ძიების სენით შეპყრობილმა, ზემო მოყვანილს ნიმუშებსაც გადააჭარბა. ჩვენ ვიცით მაგალითები, რომლებიც გვიმტკიცებს ამას; ჩვენ ვიცით მაგალითები სასამართლოში წარმოებულის საქმეებიდგან, რომლებიდგანაცა სჩანს, ზოგის ბოროტ-მოქმედებამ იქამდის მიაღწია, რომ მეზობელს გადაუჭრა ვენახი, იმის შესაბამს საქონელს დაუჭრა უკანა ფეხების სახსრის ძარღვები!! შურის-ძიებამ პირმეტყველისამ პირუტყვიც აღარ შეიბრალა და ამ შემთხვევაში მტაცებელმა პირუტყვმა მგელმა დააბჭო პირმეტყველი კაცი!!

ამისთანა შემთხვევაში საჭიროა ხერხიანი, გამოცდილი გამომკვლევი. კარგი გამომძიებელი ათში ხუთს დამნაშავეს მაინც მიაგნებს, თუ რიგიანად ჩაუდგა იმათ კვალში. პირველად მაძიებელმა უნდა შეიტყოს: ვინ ჰყვანდა დაზარალებულს მომდურავი, მტერი; სად იყო ეს უკანასკნელი იმ დროს, როცა იბოროტ-მოქმედა, ვისთან იყო, ხომ არა იყიდა-რა საეჭვო სახმარებელი ნივთიერება ცეცხლის გასაჩენად, გასაძლიერებლად; ხომ არსად დაიქადა თავისი საზიზღარის ნამოქმედარის «ვაჟკაცობა», ან ამხანაგებში, ლოთობის დროს, ან სხვაგან... ამ ნაირად შეიძლება მიაგნოს კაცმა დამნაშავეს და იმის დასჯით სხვებსაც ლაგამი ამოსდოს და ავაზაკობის წყურვილი მოუკლას. მაგრამ ჩვენ მაინც ვიმეორებთ, რომ საფუძვლიანი წამალი ყოველ ამ გვარის სნეულებისა არის და იქნება: განათლება და საქმიანობა. ამასთან დავძენთ წამლად დედ-მამისაგან დარიგებას და ოჯახში დანერგილს ღვთის შიშს.

„მასწავლებელმა საფრანგეთი დაამარცხაო."

კარგი მასწავლებელი და ენამჭევრი მქადაგებელი მოძღვარი, დარწმუნებულნი ვართ, დაამარცხებენ ამ გვარს სენსაც და თუ სრულიად ვერ მოსტეხეს იმას წელი, ძლიერ მაინც მიასუსტებენ.

მ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ დილით მუხრანიანთ ხიდთან კაცი დაიხრჩო. ეს კაცი მელიმონე გეურქა ალავერდოვი იყო. გეურქა ალავერდოვს თითქმის მთელის ტფილისის ყარაჩოხალობა იცნობდა; დიდი ხანია თაფხით ლიმონს დაატარებდა, ბოლოს ერთი ოთხმოცი თუმანი ფული მოაგროვა და ლიმონის საწყობი გაალო. შემდეგ ამხანაგად გაუხდა გიგო გლეხკაცუაშვილს. ცოტა ხანს უკან ამხანაგები ფულის ანგარიშზე წაკინკლავდნენ, ერთმანეთზე მიიწიეს და ბოლოს გაშორდნენ. ეს დღე იყო და ეს დღე, გეურქას საქმეზედ გული აუცრუვდა თურმე, სულ ქეიფსა და ლოთობაში ატარებდა დროს. ამას წინად ორთაჭალაში ქამარი დაეგირავებინა და ღვინო ესვა. ეტყობოდა, რომ ფულიც შემოჰკლებოდა. ბოლოს თაფხის ტარება იუკადრისა, დუქანსაც ვერ გააღებდა უფულობის გამო და ამიტომ უფრო და უფრო სმას უმატა. გუშინ-წინ ივანე მჭედლოვის ყავახანაში ყოფილიყო, ტერ-ასატუროვის სახლებში,—ესვა და ოთხ-თუმნიანი ჩოხა იქ გაეშვა. შემდეგ საათის ათზე ჩასულიყო მუხრანიანთ ხიდზე, იქაც ღვინო დაელია და ჩასულიყო მდინარეზედ, მაგრამ ვერ გაემეტნა თავი, ისევ უკან ამობრუნებულიყო. გუშინ, 7 მაისს, დილის $6\frac{1}{2}$ საათზე, ბორანზე დამჯდარიყო ახალუხა და და შუა მდინარეზე რომ მისულიყო ბორანი, ეშვირა ფეხი და გადავარდნილიყო. დამრჩვალის გვამი დღესაც არ უპოვნიათ. გეურქას ერთად-ერთის დედის მეტი არავინა ჰყავდა; თვითონ ოც-და-ხუთის წლისა იქნებოდა.

*** ამ უკანასკნელს ხანებში ძლიერ გახშირდა ხაშურში ქურდობა. აქაური ღამის რაინდები ისე გათამამდნენ, რომ დღისითაც არ ერიდებიან თავიანთს ხელობას. მაგალითად, ერთს საღამოს, აპრილში, ობერ-კონდუქტორს კრავჩენკოს, იმ დროს,

# ფელეტონი

## ცუდად ყოფნა

(მოთხრობა ემილ ზოლასი)

### I

როცა დილა ადრიანად მომუშავენი სამუშაოდ მივიდნენ, სახელოსნო ცივი, მოღუშული და დაღონებული დახვდათ. დიდის დარბაზის ბოლოს გამუნჯებული იდგა მაშინა, ის მანქანა, რომელიც თავისის ჩვეულებრივის რახუნით და დაუღალავის შრომით მთელს სახლს აცოცხლებდა, ახმიანებდა. ეხლა ეს მაშინა თავისის სიჩუმით, სიმუნჯით და უძრაობით სხვაზე უფრო მეტს კაეშანსა ჰგვრიდა ადამიანის გულსა.

პატარა სამუშტრო ოთახიდგან, რომელიც სახელოსნოს გვერდზე ეკრა, გამოვიდა ოსტატი და დაღონებულის ხმით უთხრა მომუშავეებს:

— დღეს სამუშაო არა გვაქვს. საქმეებს აღარავინ გვაძლევს, აღარავინ გვიკვეთავს. რაც გასათავებელი სამუშაო გვქონდა, იმაზედაც ყოველ მხრივ მთხოვენ, რომ შევაყენო... მაშინიან, ისინიც მუშტრის მიერ წაულებელი არ დამრჩეს. ეს დეკემბრის თთვე, ის თთვე, რომლის დროსაც ყოველთვის მუშაობა დუღს და გადმოდის ხოლმე, რომლისაც ისეთი დიდი იმედი მქონდა, ბევრს გაკოტრებას უქადის. მეტი ღონე არ არის, მუშაობა უნდა შევაყენო.

მომუშავეებმა ერთმანეთს შეჰხედეს და იმათ თვალებში ის შიში გამოითქვა, რომ სახლში ხელ-ცარიელნი უნდა დავბრუნდეთ, შიმშილი უნდა გამოვიაროთო. ოსტატი მიუხვდა რა მომუშავეებს. ამ შიშს, უფრო დაბალის ხმით განაგრძო:

— მე თავ-მოყვარე კაცი არა ვარ, არა, გეფიცებით... მე უფრო უარესად მაწუხებს ეს ცუდად ყოფნა, იქნება თქვენზედ უარესადაც-კი. ერთს კვირაში ორი ათასი თუმანი დამეკარგა. ეხლა მუშაობა უნდა შევაყენო, რომ უფრო არ ჩავიფლა. გროში ფული არა მაქვს, რომ ვალები გავისტუმრო, რომლებსაც თხუთმეტში უთავდებათ ვადა... ხომ ჰხედავთ, ისე გელაპარაკებით, როგორც ჩემს მეგობრებს, არაფერს გიმალავთ, არაფერს გიფარავთ. ვინ იცის, იქნება ხვალვე სასამართლოს ბოქაული თავზე დამადგეს. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენი დანაშაული ხომ არ არის? ჩვენ ვიბრძოდით ბოლომდის, მაგრამ ვერას გავხდით! გულითა ვარ მოწადინებული, რომ გიშველოთ როგორმე და ამ ძნელის, უსახსრო დღეების გატარება გაგიადვილოთ, ხოლო მეც სრულიად ულონო და უმოწყალო ვარ, არა მაქვს-რა.

ოსტატმა ხელი გაუშვირა მომუშავეებს და იმათ უხმოდ, უსიტყვოდ ჩამოართვეს. რამდენისამე წამის განმავლობაში ეს ხალხი მუშტ-მოღერებული შესცქეროდა ოხრად მიყრილს იარაღს. ჩვეულებრივ ამ ადგილზე, გათენდებოდა თუ არა, გაისმოდა დაუწყნარებელი ხრიჭინი ხერხებისა, ჩაქუჩების ზომიერი ცემა; ეხლა-კი იარაღს მტვერი დასდებოდა, თითქოს სძინავს და მაშინ გამოიღვიძებს, როცა მოვალეები აქეთ-იქით დაიტაცებენო. მეორე კვირაზე ოცი-ოც-და-ათი სახლობა ულუკმა-პუროდ დარჩება. რამდენსამე დედაკაცს, რომელნიც ამ ქარხანაში მუშაობდნენ, თვალებზე ცრემლი მოადგათ. კაცები უფრო გულ-მაგრად იდგნენ, თავს ინუგეშებდნენ და ერთმანეთში ამბობდნენ, რომ ადამიანიშვილი პარიჟში მშიერი არ მოკვდებაო.

როცა, დასასრულ, ოსტატი გამოეთხოვა და თავისს სახლში შევიდა, მომუშავეებმა შეჰხედეს იმის მოხრილს, მოუძლურებულს წელს და თითოთითოდ დაიშალნენ. სახელოსნოში თავისუფლად ვერა სუნთქავდნენ, გული ელეოდათ, თვალები უბნელდებოდათ, თითქოს მოჩვენება უდგათ წინაო. ეს მოჩვენება საქმე იყო, ის მაშინა იყო, რომელიც გაქვავებული და გაკლდევებული აყუდებულიყო და თავისის ჩრდილით უფრო აბნელებდა ისეც ბნელს დარბაზს სახელოსნოსას.

### II

მომუშავე გამოვიდა ქუჩაში უსაქმო, ულუკმა-პურო. მთელი რვა დღე ჰლესავდა ბულვარებს, მაგრამ საქმე ვერსად იშოვნა. ხან ერთს კარებს მიადგებოდა ხოლმე, ხან მეორე კარებს, ეუბნებოდა—დაიქირავეთ ჩემი გამრჯელი ხელები, ჩემი ზურგი, მთლად ჩემს თავს დაგიგირავებთ, რაც გინდა გამაკეთებინეთ, რაც უნდა მძიმე და საზიზღარი საკეთებელი იყოსო, მაგრამ ყველანი ცხვირ-წინ კარებს უკეტავდნენ, არავინ შეიბრალა.

რომ ვერას გახდა-რა, ნახევარ ფასად მუშაობა მოიწადინა, მაგრამ მაინც არავინ გაულო კარები. სულ მუქთადაც რომ დათანხმებულიყო მუშაობას, საქმის კეთებას, იქნება მაშინაც არავის დაექირა, არავის შეეშვა სახლში. დადგა საშინელი ხანა, ხანა უსაქმობისა, ცუდად ყოფნისა და გულხელ დაკრეფისა. რამდენმამე ქარხანამ მუშაობა შეაყენა და ფულები, მხდალი, მშიშარა ფულები, აქეთ-იქით მიიმალა.

უკვე რვა დღეა, რაც ასეთს მდგომარეობაშია; ყოველივე საღონი ღონე ილონა, მაგრამ არა გამოდნა რა. აგერ ხელოსანი დინჯად, წყნარად ბრუნდება სახლში ცარიელი, სიღარიბით წელში მოხრილი და მოზნექილი. წვიმა მოდის. ამ საღამოს ატალახიანებული პარიჟი ცუდი სანახა-

როდესაც ლოცვაზედ იყო აქაურის რკინის გზის სადგურში, გაუტეხეს ოთახი და გაიტანეს ფანჯრიდგან რამდენიმე ვერცხლის ნივთი და თხუთმეტიოდე თუმანი ფულიცა. ამას გარდა რამდენიმე ქურდობა კიდევ სხვაც მოხდა, მაგრამ ეს ვისლა ახსოვს. ეხლა ახალს მოგახსენებთ. ამ ივნისის პირველს რიცხვებში გაუტეხეს ოთახი კონდუქტორს პეტროვს, როცა ის სამსახურში იყო, და ისე წუწკად გაალაგეს ყველაფერი, რომ უკანასკნელი ერთი ქიქაც-კი აღარ დაუტოვეს. ამ თვეის სამს გაჰქურდეს ამწონავის ოთახი და რამდენიმე ნივთი წაიღეს. ამავე თვეის 5-ს ექიმოევის ფანჯრიდგან გადაიტანეს სამოვარი მემაშინე ბოტესი. ყველა ეს ქურდობა ისე ოსტატურად სრულდება, რომ ჯერ კვალი ვერავისზედ მიუტანიათ, და კიდევ ბევრს ამაზედ უარესს ქურდობასაც უნდა მოველოდეთ, თუ რკინის გზის შენობებისა და ქვემოთა სართულის ოთახების ფანჯრებს რკინის ბადე არ გაუკეთეს. ეს დიდს ხარჯს არ მოითხოვს რკინის გზის მთავრობისაგან და საწყალს მოსამსახურეთ-კი დაიფარავს ქურდებისაგან. ვიწროობითაც ძლიერ შეწუხებულნი არიან რკინის გზის მოსამსახურენი; ზოგნი ცოლ-შვილიანნი მომწყვდეულნი არიან თითო ოთახში, რომელშიაც სამზარეულოცა აქვსთ და სხვა...

*** სამტრედია: 30 მაისს, სალამოს ხუთს საათზედ, სამტრედიის რკინის გზის სადგურზედ მოულოდნელად გვეწვია ხუთას ორმოც-და-ათი ახალგაზდა, კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან ახლად გამოყვანილი ჯარის-კაცები. ამ დღის ხუთ საათიდგან ჯარის-კაცებმა დაჰყვეს აქ, სამტრედიაში, მეორე დღის სალამოს ხუთ საათამდე. სწორედ მშვენიერს სურათს წარმოადგენდნენ ორასის საჟენის სიგრძეზედ რიგ-რიგზედ ჩამწკრივებული ახალგაზდა მხედრები, რომლებსაც ხელში ეჭირათ თოფები, ტანზე ემოსათ გურული ტანისამოსი და ფეხებზედ ეცვათ წუღები; მთელს ჯარს წინ მოუძღვებოდა ბაირაღი და მუსიკა. რამდენისამე წამის შემდეგ ჯარის მოსვლის ამბავი მოეფინა სამტრედიასა და ახლო-მახლო სოფლებში და დიდძალი ხალხი მოგროვდა ვოგზალზე. ჯარმა ძალიან ასიამოვნა ხალხს თამაშით და სამხედრო ვარჯიშობით. ყველა იმასა ჰკვირობდა, თუ ცოტა ხნის განმავლობაში ისე კარგად როგორ შეუსწავლიათ ჯარის-კაცებს ყველა სამხედრო წესებიო.

სამტრედიის დეპუტატის ბ-ნის მინარეიშვილის თაოსნობით აქაურმა საზოგადოებამ გაუმართა 31-ს მაისს სადილი სტუმრებს. პოლკოვნიკმა თავ. ჩიქოვანმა და ბ-ნმა დუმბაძემ მთელის ჯარითურთ ადღეგრძელეს ხელმწიფე იმპერატორი. 31 მაისს, ნაშუადღევის მეხუთე საათის ნახევარზედ, ჯარი გაემგზავრა ტფილისისკენ.

*** გადაწყვეტილია, რომ გზათა სამინისტრომ მისცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზას 1.295,309 მანათი გზის მოქმედების გასაძლიერებლად დ 1,100 მან. საქონლის ვაგონებისა და ბაქანების შესაძენად რუს-ბალტიის ქარხნიდგან (Н. В.).

*** გაზეთი „Кут. Вѣд."-ი გვაცნობებს, რომ ბ-ნს ი. მ. მეუნარგიას ორს ივნისს ქუთაისშიაც წაუკითხავს ლექცია თ. გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლექციაზე დიდ-ძალი ხალხი დასწრებია.

*** იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ ერთს უცხოელს, რომელიც ამ ჟამად ბათუმში სცხოვრობს, განზრახვა აქვს რკინის გზა გაიყვანოს სოფ. რგანსა და ტყიბულს შუა შავის ქვისა და ქვა-ნახშირის საზიდავად. ეს რკინის გზა ჩვეულებრივს რკინის გზას არ ემგზავსება, არამედ ჰაერში იქნება გატარებული სვეტებზე.

*** თავ. ზ. ჯორჯაძეს გაუგზავნია გასასინჯავად ქიმიკოსის გ. ე. სტრუვესათვის რამდენიმე ვაზის ფოთოლი სოფ. წინანდალის ვენახებიდგან. ეს ფოთლები გაუსინჯავს მიკროსკოპით ბ-ნს სტრუვეს და აღმოუჩენია ფოთლებზე ვაზის ახალი ავადმყოფობა „მილდიუ" (Peronospora viticola), რომელიც, როგორც ბ-ნი სტრუვე ამბობს, წელს დაზიანებას უქადის კახეთის ვენახებსაო. ამ ამბავს ბ-ნი სტრუვე აცხადებს გაზეთს „კავკაზში".

## ქალაქის საბჭო

6 ივნისი

მ. ი. თამამშოვი. ვინც რა უნდა სთქვას, ხოლო ის-კი ცხადია, რომ ახალი ბაჟი, დაწესებული ურემსა და ბირუტკებზე, შემავიწროებელია არა მარტო სოფლელ მწარმოებელთათვის, არამედ ქალაქელ მხმარებელთათვისაც. ამიტომ ყოვლად საჭიროა ისეთი ღონისძიება იხმაროს საბჭომა და გამგეობამ, რომ ეს გადასახადი შეძლებისამებრ ნაკლებად იყოს მაზარალებელი და ნაკლებს უკმაყოფილებას გამოიწვევდეს ხოლმე. ჩვენს წესდებაში არ არის საკმაოდ განმარტებული, რამდენის ხნის განმავლობაში აქვს ძალა იმ ბილეთს, რომელიც ერთხელ აიღო მეურმემ თუ საქონლის პატრონმა, არ არის მოხსენებული, რამდენი ტომარა უნდა ედოს ურემს, რომ გადასახადი მთელის ურმისა მისცეს სოფლელმა, მაგალითად—ორი შაური მაშინ უნდა გადაიხადოს მეურმემ, როცა ათი ტომარა უდვას, რვა, შვიდი, თუ ერთი. ეს ისეთი საგანია, რომ თუ დაწვრილებით არ არის ჩამოთვლილი ყოველივე მუხლი, ბევრს უთანხმოებასა და ჩოჩ-ჩხუბს გამოიწვევს, და იწვევს კიდევაც.

წევრი გამგეობისა ხოსროევი. ჩვენს მოხელეთ საკმაოდ განმარტებული წესი აქვსთ მაგ საგანზე და ისინიც ჰმოქმედებენ, რომ არავითარი უთანხმოება და საჩივარი არ მოგვდის იმათის საქციელის შესახებ.

მ. ი. თამამშოვი. მე თუ დღეს მოვაქციე თქვენი ყურადღება ამ ახალს ბაჟს, ეგ იმიტომ-კი არა, რომ იყოს სახელი მოვიპოვო და ვათქმევინო ვისმეს—აგერ დაჩაგრულთა მომხრე კაცი ყოფილა და იმათი გულის-შემატკივარიო. მე მხოლოდ იმიტომა ვლაპარაკობ, რომ მართლა მესმის ასეთი საჩივრები და მართლაცა ჰსუფევს უკმაყოფილება. ამის გამო ან გამგეობამ უნდა შეადგინოს სრული ინსტრუქციები და წარმოუდგინოს საბჭოს, ან, თუკი გამგეობა ამას არ ისურვებს, გთხოვთ ჩამწეროთ და მე წარმოვადგენ იმ წესის პროექტს, რომელიც საჭიროა მაგ გადასახადის საქმეში.

შემდეგ ამისა ქალაქის თავმა ილაპარაკა შესახებ იმ სიმძიმისა, რომელიც დაჰხვდა სამხედრო ბეგრის შემოღებაში საჯარის-კაცო კრებულს. ამ კრებულში ყველაზედ დიდი მეცადინეობა და გარჯა გამოიჩინა ხმოსანმა ბებუთოვმა, რომელმაც თავისის ნებით იკისრა საქმის მწარმოებლობა და ჩინებულადაც დააყენა ეს ახალი საქმე ჩვენში, გაგვიკვალა და გაგვიწმინდა გზა, ასე რომ შემდეგისათვის სრულებით მოშორებულია თავიდამ პირველი ნაბიჯი საქმისა. აგრეთვე საკმაოდ წვლილი მიუძღვის მდივანს საბჭოსას, ბ-ნს ტიგრანიანს. ამიტომ მოვალენი ვართ, რომ ბ-ნს ტიგრანიანს მადლობა გამოუცხადოთ და თავადს ბებუთოვს მივსცეთ ჯილდოდ ასი თუმანი.

ივანენკო. მე მგონია, რომ რაკი ბებუთოვმა თავის ნებით იკისრა შრომა, ჩვენ არა გვაქვს უფლება ფულით დასაჩუქრებისა. ჩვენ შეგვიძლიან იმასაც სიტყვიერი მადლობა გადავუხადოთ.

კოჩორიანცი. საკვირველია ჩვენი საქმე. წლის თავსა და ბოლოში საშინლად ვწოწიალობთ და ვწუწუნებთ უფულობაზე, წლის შუაში-კი გვავიწყდება ჩვენის კასის ყოფა. იქნება ბებუთოვს უფრო მეტი ჰქონდეს, ვიდრე ჩვენს კასსა, და მაინც ვიძახით—ასი თუმანი მივსცეთო. სიდამ მივსცეთ, რომ არ არის! არც უნდა მივცეთ, რადგან თითონ იკისრა შრომა და ჩვენც მადლობელნი ვართ მაგის გამო.

მ. ი. თამამშოვი. მიკვირს და მეოცება, როდის აქეთ არის, რომ კოჩორიანცი, ჭკვიანი კაცი, შრომის ჯილდოს უარსა ჰყოფს! კაცის შრომას უნდა ვაფასებდეთ და ამიტომაც ჩვენი ღირსება მოითხოვს, რომ მუქთად არ მივიღოთ სხვისი გარჯა. ბებუთოვს უნდა მიეცეს ასი თუმანი ჩვენის მხრივ, თუმცა ძალიან საფიქრებელია, რომ თითონ ბებუთოვი უარს იტყვის ნივთიერ დასაჩუქრებაზე. მაგრამ ეგ იმისი საქმეა და ჩვენ-კი მაინც ჩვენი მოვალეობა უნდა აღვასრულოთ.

წევრი გამგეობისა იზმაილოვი. ბებუთოვს თვით საჯარის-კაცო კრებულმა მიანდო საქმის მწარმოებლობა. მწარმოებელი ხომ აუცილებლად საჭიროა და ხომ ჯამაგირი უნდა ვაძლიოთ. მაშასადამე, მაგ ფულს რომ ვაძლევთ საჩუქრად, ეგ ისევ ის ჯამაგირია, რომელსაც ჩვენ უეჭველად გავიღებდით, უკეთუ ბებუთოვს არ ეკისრნა საქმის მწარმოებლობა. კაცმა იკისრა, ჩინებულად დააყენა საქმე და ეხლა ჩვენი მოვალეობაა ეგ ასი თუმანი საჩუქარი გადავუწყვიტოთ ბებუთოვს ნიშნად მადლობისა და შრომის დაფასებისა.

ივანენკო. მე ჩემის მხრივ ვითხოვ, რომ დასტურული კენჭი იქნეს ჩამოტარებული მაგის შესახებ.

ქალაქის თავი. ამისთანა საქმეში, სადაც ლაპარაკია კაცის შრომის დაფასებაზე, სადაც ყველასათვის სავალდებულოა აზრი ღვაწლის დაჯილდოებისა, აქ ერთ-ხმივ უნდა გადაწყდეს საქმე და ამით დამტკიცდეს, რომ ყველანი ვაფასებთ კაცის გარჯას და არც უნდათ მუქთად ჩაუტარონ შრომა. რაკი ერთმა და ორმა ხმოსანმა მაგეთი შეუფერებელი ბაასი ასტეხეს და ყოყმანობენ, მე უკანვე მიმაქვს ჩემი წინადადება.

შემდეგ ამისა გამგეობამ სთხოვა საბჭოს, რომ შესაძლებელი იქმნას ცემენტით ტროტუარების გაკეთება. ბევრნი გვთხოვენ, მაგრამ გამგეობას არა აქვს ამისი ნება მინიჭებული, ბევრს არა აქვს შეძლება ალვეთის ქვით დაჰგოს თავისს სახლთან ტროტუარი, რადგან ალვეთის ქვის ოთხ-კუთხი საჟენი ღირს 24 მანათი, ამავე დროს „ცემენტით" გაკეთება ტროტუარისა ღირს ოთხ-კუთხი საჟენი მხოლოდ ერთი თუმანი და სძლებს ათ-თხუთმეტი წელიწადიო.

საბჭომ ნება დართო.

ბოლოს ილაპარაკეს საქალაქო გირავნობის კასაზე, მაგრამ ეს ისეთი რთული საგანია, რომ მოკლე სიტყვით ვერას გაიგებს მკითხველი და ამიტომ როდისმე ცალკე მოგელაპარაკებით.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ცხინვალი, 21 მაისი. ჩვენს დაბასა თუ დამბლა ცხინვალზედ კაი ხანია აღარა დაწერილა-რა და არა გვეცნობებია-რა რედაქციისა და მკითხველებისათვის, თუმცა-კი ბევრმა საყურადღებო ამბებმა ჩაიარ-გაიარა, ისე როგორც ამ ხუთისა და ექვსის დღის წინად ჩაიარა აღელვებულმა და გაგიჟებულმა ლიახვმა და არა ერთი და ორი თუმანი ზარალი მისცა მცხოვრებლებს როგორც ცხინვალს, ისე ზევითა და ქვევით სოფლებს.

---

ვია. ხელოსანს წვიმა თავზე ესხმის, მაგრამ ვერასა ჰგრძნობს-რა, შიმშილის ფიქრით არის გატაცებული და ხშირად შესდგება ხოლმე, რომ სახლში ჩქარა არ დაბრუნდეს, მოუგვიანდეს. მდ. სენას რომ გადადიოდა, შესდგა და ხიდის მოაჯირზე გადაეყრდნო. წვიმების გამო მოდიდებული მდინარე ზარითა და ზათქით გარბოდა, ეხლებოდა ხიდის ბურჯებს და ათასობით რძის ფერს წინწკლებს ისროდა. ხელოსანმა უფრო და უფრო ძირს დაიწია; იმის ქვემოდგან აღშფოთებული მდინარე ხმიანობდა, თითქოს თავისთან ეძახისო. ხოლო უეცრად იმ აზრმა გაურბინა, რომ ეს ხომ სიმხდალე იქნებაო, და მოაჯირს მოშორდა.

წვიმა შესდგა. ლამპრები გაკაშკაშებულია ოქრომჭედლის დუქანში. ეხლა ერთ-ერთი ფანჯრის მინა რომ გასტეხოს და ხელი გადაჰყოს, ვინ იცის, რამდენის წლის სარჩო-საბადებელს იშოვნის. აგერ სასტუმროების სამზარეულოებში სანთლები აანთეს და ლეჩაქის მაგვარ ფარდებიდგანა სჩანს ხალხი, რომლებიც სხვა-და-სხვა გვარს საჭმელს შეექცევიან. იმან ფეხს აუჩქარა და დაბრუნდა თავისს უბანში. გზაზედ გამოიარა სანოვაგის, ძეხვებისა და ლორის დუქნების წინ, გაუარა გვერდით იმ ლორ-მუცელა პარიჟს, რომელიც მშვენიერს საჭმელებს უსირცხვილოდ გამოაწყობს ხოლმე ფანჯრებზე შიმშილისა და სიყმილის დროს.

რადგანაც იმისი ცოლი და პაწია ქალი დილას სტიროდნენ, როცა სახლიდგან გამოდიოდა, — დაჰპირდა, რომ სალამოსათვის პურს გიშოვნითო. შუა-ღამემდე ვერა ჰბედავდა დაბრუნებას და იმის თქმას, რომ ვერა ვიშოვნე-რა, ვერას გავხდი, სიტყვა ვერ შეგისრულეთ, მოგატყუეთო. ეხლა თავისს თავს ეკითხებოდა, როგორ დავბრუნდე უარარაოდ და რა ვუთხრა ისეთი, რომ კიდევ ცოტაოდე მოვათმენინო. ესეც რომ არ იყოს, ბევრს ველარ მოითმენენ უჭმელ-უსმელნი. თითონ კიდევ არა უჭირს-რა, თითონ კიდევ შეიძლებს ლოდინს, ხოლო ცოლი და ყმაწვილი-კი მეტად სუსტნი, მეტად უჯანონი არიან.

ერთს წუთს იმ ფიქრმაც-კი გაურბინა, რომ მოწყალებას ვითხოვო, მაგრამ როცა წინ ვიღაც მანდილოსანმა გაუარა და ხელი უნდოდა გაეწვდინა, ყელში რაღაცამ წაუჭირა, ხელი დაუდუნდა და დაუდამბლავდა. რამდენსამე წამს იდგა ასე უგრძნობლად, გამხრეტიანებულსავით, იდგა ერთს ალაგას გაქვავებული. რიგიანად შემოსილნი გამვლელ-გამომვლელნი, იმის შიმშილით და უჭმელობით დამანჯულს სახეს რომ ჰხედავდნენ, პირს იბრუნებდნენ, ნასვამი და დალეული ეგონათ.

III

ამ ხელოსანის ცოლი გამოვიდა თავისის სახლის კარებზედ, თავი დაანება თავისს მძინარე ქალიშვილს. ეს ადამიანი მეტად გამხდარი დედაკაცი იყო, ჩითის კაბა ეცვა. სიცივით კანკალებდა და ცახცახებდა.

სახლში აღარა დარჩათ-რა; ყველაფერი დაგირავებული ჰქონდათ.. რვა დღის უმუშევრობა საკმარისი იყო, რომ იმის ავლა-დიდებას ბოლო მოჰღებოდა. გუშინ ძველ-ძველების მყიდველთან უკანასკნელი კვანძი მატყლი მიიტანა, თავის ტილოს ნაალიდგან ამოღებული. ეხლა ნაალი სულ დაუცარიელდა, ცარიელი მითელი-ღა დარჩა, პარკი, და ფანჯარაზე ჩამოაფარა, რომ ოთახში სიცივე არ შესულიყო და უფრო მეტად არ გაეციებინა, ისეც გაციებული და ნაავადმყოფი იმისი პაწია ქალიშვილი.

ესეც ეძებდა საქმეს, ეძებდა ისე, რომ ქმრისათვის არც-კი გაუგებინებია, მაგრამ როცა სამუშაო არ იშოვება, მაშინ დედაკაცებისათვის უფრო ძნელი საშოვნელია, ვიდრე მამაკაცებისათვის. იმის სახლს გვერდით, სულ ორს ნაბიჯზე, სდგანან უბედურნი დედაკაცნი, რომელნიც გაჭირებისაგან მთელის ღამეობით ცრემლს აფრქვევენ. ერთმა მათგანმა გაჰბედა და თავი გაიყიდა, მეორემ ტანჯული სული უფალს მიაბარა, მესამე-კი დაიკარგა და აღარსად გამოჩენილა.

თითონ იმას კი, საბედნიეროდ, ქმარი ჰყავს, და მერე ისეთი კარგი ქმარი, რომ ღვინოსა და არაყს გემოთ არა ჰხედავს. კარგი ცხოვრება ექმნებოდათ, დრო-გამოშვებით რომ ასე არ გაუჭირდებოდეთ ხოლმე, ისე ძლიერად, რომ ყველაფერსა ჰყიდიან, რაც-კი რამა აქვსთ თავისის ჯანით და ღონით მოპოვებული. დიდი ხანია აღარავინ ენდობა რასმე: ჰმართებს მეპურესი, მეწვრილმანისა, ბაყლისა, და ეშინიან კიდეც ამ მოვალეებს დაენახოს სადმე. დღეს დილით თავისს დასთან გადავიდა, რომ ორიოდე აბაზი ეთხოვნა, მაგრამ ისინიც ისე გაჭირებულები დახვდნენ, რომ კრინტი ველარ დასძრა, და ორივე დებმა დიდხანს იტირეს ერთად. როცა გამოდიოდა, დაჰპირდა, რომ პურის ნაჭერს შემოგიტანთ, თუ ჩემი ქმარი ხელ-ცარიელი არ დაბრუნდა და მოიტანა რამეო.

ქმარი-კი არა ბრუნდებოდა. წვიმა მოდიოდა. იგი ალაყაფის კარებს მოეფარა, მაგრამ ფეხებს წყალში აშლაპუნებდა და თხელ ჩითის კაბის კალთები უსველდებოდა. ხან-და-ხან ველარ ითმენდა და, თუმცა წვიმა ასხამდა, ქუჩის შესახვევთან მიდიოდა, რომ გაეხედნა, ხომ არ მოდისო ის, ვისაც ელოდდა. მერე ისევ დაბრუნდებოდა ხოლმე თავისს თავ-შესაფარში, თმებზე ხელს გადაისვამდა, რომ ცოტა არის გაემშრალებინა დასველებული თმა, და კვლავ დაიწყებდა ლოდინს, ხოლო დრო-გამოშვებით სიცივისაგან მთელი ტანი აუკანკალდებოდა ხოლმე.

ღმერთმანი, რატომ არა სრცხვენიან, რატომ არ დაგვანებებს თავს, რა გვმართებს მაგისი? მაგ დალოცვილს ამდენი სიკეთე მოაქვს ქართლისათვის და ბოლოს-კი აღარ ატანს! მადლი ლამის მატლად გადიქციოს. ამ რამდენისამე ხნის წინ იყო-და დაგვირჩო-თუმცა ღარიბი და ბედისაგან დაჩაგრული, მაგრამ პატიოსნებით სავსე ალალი ხოჯაევი, დაარჩო და რა ნაირმა წყალმა, ისეთმა წყალმა, რომ კაცს წყურვილს ვერ მოუკლავდა. კარგი დაარჩო-დაარჩო, მაგრამ თავის ამაყ ბურტყუნში მაინც ელიარებინა თავისი შეცოდება და დანაშაული. რაზედ ააყაყანა ამოდენა ხალხი?

აი დღესაც რას გაიძახის ხალხი: ბურუტ-გამქრახველით განგებ დაარჩევს სახლში და შემდეგ თვალების ასახვევად წყალში ჩააგდესო. ტყუილია, ბატონებო, ტყუილი, თორემ გამოძიებას როგორ დაემალებოდა. ამისთანა მძიმე საქმე ისევ იმ ლიახვის ბრალია, როგორც ამ კალმის აღებაა ჩემი ბრალი.

აი კიდევ რა სისაძაგლე ჩაიდინა თებერვლის თვეში ჩვენმა შეუბრალებელმა ლიახვმა: თებერვლის რომელს თარიღში იყო, კარგად არ მახსოვს, გავარდა ხმა, კეხვში მცხოვრებელი, ცოლ-შვილიანი გლეხი მელანაშვილი დაიკარგაო; სალოცავად წავიდა აქავე, ლიახვ გაღმა, ძელიცხოველში, რომელიც ხეითის სამრეკლოა, ილოცა და დაბრუნდა იქავე ახლო სოფელს ძარწემში; აქ გოგიძეებში რაღაც ქალის გათხოვების ანგარიშები დაუწყია, როგორც ილაპარაკა დაკარგულის ბიძამ. როცა შესულა ამ სოფელში, მთელს სოფელს უნახავს, ხოლო როცა გამოსულა, ძაღლიც არ არის მნახველი. ამ კაცის დაკარგვაზედ შეიძრა მთელი ნათესაობა, ისე სოფელიცა. დაუწყეს ძებნა მინდორსა, ტყესა, ტბასა და წყალში, მაგრამ ასავალ-დასავალი ვერა გაიგეს-რა.

ამ მაისის წყალ-დიდობას იპოვნეს დამრჩვალი კაცი სოფელს ფხვენისში, სადაც ლიახვს გაერიყნა. თურმე საზიზღარი სანახავი იყო: ნათესავები ერთად მიეიდნენ და ჰნახეს შიშველი კაცი, მხოლოდ ქამარი და ცალი პაჭიჭი-ღა შერჩენოდა ტანზედ. პერანგი შემოფხრეწილი ჰქონდა. ამ ნიშნებსა და პერანგის საყელოზედ იცნეს თავიანთი დანაკარგი იმისმა ნათესავებმა. თუმცა პოლიციასა და გამომძიებელს ეჭვი შეუეიდათ, რომ მარტო ლიახვის ბრალი არ იყო ამ კაცის ასე უდროვოდ დაღუპვაო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „თუ მოტირალი არა ტირისო"... იქნება მოტირალმაც კარგად იცოდა, როგორც იყო საქმე, მაგრამ ისიც სახეში ჰქონდა, რომ ეს საქმე ალალი ხოჯაევის საქმესავით არ ჩაივლისო, და ზედ მიაწება თავი.

ვის დავაბრალოთ ახლა, ვის დავდოთ კისრად საწყალის კაცის ცოდვა? რასაკვირველია, შეუბრალებელს ლიახვს. მაგრამ სად შეინახა ამ სამის თვეის განმავლობაში დამრჩვალი კაცი იმ ლიახვმა, რომელიც იმ დროს მუხლ ზევით არ იქმნებოდა?

ყოველივე ესე საკითხია მხოლოდ და არა საპასუხო. პასუხს ვინ ელირსება!!.. ამ ლიახვსა და მიცვალებულებზედ ლაპარაკს თავი დავანებოთ და ურიებზედ, ოსებზედ, ქართველებზე და სომხებზედ ვიმუსაიფოთ ეხლა. ეს დალოცვილები ერთმანეთს ისე შეჰყურებენ, როგორც თხა და მგელი, ერთმანეთს ისე არ დაინდობენ, როგორც შაჰ-აბაზ ყეენი არ ინდობდა ასაოხრებლად საქართველოს. ეს-კი არ ვიცი, რა აქვთ გასაყოფი?!

ნამეტნავად ურიობა ისე არის წაქეზებული და გათამამებული, რომ ვაი იმის დედას, ვინც ამათ წინ გაჰბედავს რასმე. ცხინვალში შარშან ერთი აზნაურიშვილი ისე გალახეს, რომ ის აზნაურიშვილი თუ არ მოკვდა, კაცად აღარ ივარგებს; აღარც მინახავს იმ დღეს აქეთ.

წელს ერთი ოსი ისე მიამტვრიეს, რომ არ ვიცი, ისიც მოკვდება თუ გადარჩება. რა იყო მიზეზი ამის გალახვისა, მოგახსენებთ: ორი ურია ჩხუბობდნენ. ოსი, როგორც მოსამსახურე კაცი (ჩაფარია), აშველებდა. „როგორ თუ აშველებო!" იშიშვლეს, ბატონო, ამოდენა ურიობამ კეტები და დაუშინეს საცოდავს თავსა და პირში. რო გაუჭირდა ამ უბედურს, იძრო ხმალი შესაშინებლად, მაგრამ ამაო-ღა იყო. მანამდინ უგონოდ გაჰხდიდნენ და პატრონი გაუჩნდებოდა ვინმე, იოხეს გული და დასასრულ ასწიეს კაცი და მიათრიეს ერთ დუქანში. ამისთანა კეთილის კაცის გალახვა, რასაკვირველია, ოსებს არაფრად ეპაშნიკებოდათ და თითო-თითოს სოფელში, რომელსაც-კი მოასწრობენ, საბადლოს უხდიან.

დღეს, 21 ამ თვეს, ზღუდრობას ემზადებიან, რომელიც ცხინვალში-კი მოდის. ამ დღეობამ სწორი უფრო ძრიელ კარგი იცის, სადაც მთელი ქართველობა და ოსობა თავს იყრის. ამ დღეობის გამო საკმაო შიში შეჰპვლიათ ურიებს, მისულან პოლიციის ბოქაულთან და უთქვამთ: ზღუდრობას მთელი ოსები ამოწყვეტას გვპირებენ და გვიშველეთ რამეო. პოლიციის ბოქაულსაც იმედი მიუცია და ვითომ დასაცველად თითო სამამასახლისოდგან რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაუნიშნავს. გაივსო ცხინვალი შეიარაღებულის კაცებით და ურიებს ცოტა იმედი მიეცათ, თორემ თქვენი მტერი, შარშანდელის ვირთაგვებისა არ იყოს, შიშით გულები დაუსკდებოდათ.

აი კიდევ 22 ამ თვეს მოიგიჟიანა ლიახვმა თავი და, ვინ იცის, რას არ ჰნახავს კაცის თვალი ჩამოტარებულს: ზევით ოსებში, სადაც-კი საჭირო ხიდები იყო, დაჰგლიჯა, ზოგიერთ მოდავე მამულების პატრონები მშრალზედ დასხა და თავისათვის შემოიყორლნა. თითქმის პატარა რუებმაც-კი თავი იჩინეს. რამდენსამე ოჯახობას ძილი დაუფთხეს, ლოგინი და სხვა ავეჯეულობა სახლში გაუოხრეს. ლიახვმა ამპარტავნულად და წინ-დაუხედავად აიღო თავი და სომხების ეკკლესიას მოტიეტივებას უპირებდა, მაგრამ ჩვენი ცხინვალელები სხვა ბიჭები გახლავან: ცეცხლსა და წყალს ადვილად არას დაუთმობენ.

მთელი მაისი ისე მიდის, რომ ორი დღე ერთმანეთზედ დარი არ გვინახავს. ჭირნახულები ავის თვალით არ ინახვის, მაგრამ რა გამოვიდა. ამ დაქინებულმა და გამუდმებულმა წვიმებმა ძირს დააგო მატყლივით ის ყანები, რომლებსაც ამაყად ეჭირათ მაღლა თავი.

ჩვენის ხიდის მდგომარეობა კლავაც მოგეიხსენიებია, მაგრამ სიტყვა სიტყვადვე დარჩენილა. აი დღეს-კი ისეთ მდგომარეობაშია, რომ საჭიროა დროზედ ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს. ქვეითი მხარე ხიდისა რასაც-კი სიმაგრე ჰქონდა, ჩალპა და ჩაიშალა წყალში. მართალია, ხიდი-კი შეჰკრეს, კვლავინდელად სამსა და ოთხს ურემს ერთად ვეღარა ჰნახავთ გატარებულს და ვეღარც დილიჟანსებსა და სხვა მატარებელს, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლის. აღმოსავლეთით კოჭებით არის ჩაკეტილი, ისე რომ ურემს თვლებს უწევენ, ისევ კამეჩებს შებმულებს, და თვლების გადატანის დროს ისე ეცემა ხიდზედ ურემი, რომ მთელს ხიდს ზანზარი გააქვს. აქამდინ თავსა და ბოლოში, მისავალ-მოსავალზე შეკრული იყო და ურემი უნდა დაეშალათ და ცალ-ცალკე გაეტანათ. თუმცა ხალხი ბევრს ეწვალებოდა, მაგრამ ხიდს-კი დიდი შემწეობა ჰქონდა.

ახლა, ჩვენთვის რომ ვიფიქროთ, როდემდინ უნდა ეწვალოს ასე ხალხი. წვალებასაც თავი დავანებოთ, ისეა დაძაბუნებული და წამხდარი ხიდი, რომ საეჭვოა, უბედურება არა დაატრიალოს-რა. ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ასი, ორასი და სამასი თუმანი კბილის ქარად არ გასწვდება იმის გაკეთებას. განა შეუძლიან ისედაც დალატაკებულს გლეხ-კაცობას ათასისა და ორი ათასის თუმნის შეგროვება, რომ ძალა დაატანონ და ეს ფული სოფელს გადაახდევინონ? ვგონებ საშვილიშვილოდ ამოეხუთოთ სულები. ამ შემთხვევაში ჩვენი ცხინვალი დიდს სასოწარკვეთილებაშია მიცემული. განა არა, ცხინვალსა აქვს სასწორი, საყასპო, და სხვანი, მაგრამ ვინ იცის, მოჰკიდებენ ამ შემოსავლის წყაროებს ხელსა თუ არა. პატარა ლიახვზე ხიდისათვისაც არის რამდენიმე თუმანი შეგროვილი და, რადგანაც პატარა ლიახვზედ ისე საჭირო არ არის ხიდი, როგორც ცხინვალში, ემჯობინება, რომ ის ფულიც ამ საქმეს მოახმარონ. საჭიროა აგრეთვე სთხოვონ თავად მაჩაბლებს, რომ ხე-ტყით შემწეობა აღმოუჩინონ ამ საქმეს...

◆◆

# უცხოეთი

საფრანგეთი. გაზ. „Рус. Вѣд"-ის კორრესპონდენტი დაწვრილებითა სწერს საფრანგეთის დეპუტატების პალატას იმ დროს, როცა გენერალმა ბულანჟემ წარმოსთქვა თავისი სიტყვა-მანიფესტი. რაც უკვე ვიცით ჩვენ ამ კრებაზედ, აქ აღარ გავიმეორებთ; მხოლოდ რაც ახალი რამ არის, იმას მოვიყვანთ. პალატაო, ამბობს კორრესპონდენტი, დიდის მოუთმენლობით ელოდდა ბულანჟეს. თავისუფალი ადგილი აღარსად იყო. რესპუბლიკელები ამ მოლოდინის დროს სჯიდნენ, როგორ დავუხვდეთ საკადრისად „Brav' general"-საო! ზოგი ამბობდა, რომ მოვისმინოთ იმისი სიტყვა მდუმარებით, პასუხსაც ნუ ვაღირსებთ, ჩავუშალოთ იმისი სარჩიელი და შევუდგეთ მერე მორიგ საქმეებსაო. ზოგი ამბობდა, რომ მასხარად ავიგდოთ, აქვე დავამციროთ, გავანადგუროთ და დავანახვოთ ქვეყანას, რა სულ-მდაბალიცა ბრძანდება, რა არარაობაა ის, ვისაც ხელში უნდა ჩაიგდოს საფრანგეთის ბედიო. ერთის სიტყვით, რესპუბლიკელები ძალიან აღელვებულნი, აღშფოთებულნი იყვნენ და ერთზე ვერაზე დადგნენ.

აი შემოვიდა თვით გენერალიცა. გენერალი მალე შეამჩნია ყველამ და ყველას ყურადღებაც მიიქცია იმისმა სახემ.

— რა ყმაწვილი და რა ლამაზი ყოფილაო! უთხრა ერთმა პროვინციელმა ქალმა თავის კავალერს.

გენერალმა მალე შენიშნა, რომ ყველა იმას უცქეროდა, ყველას ყურადღება იმაზედ იყო მიქცეული და ცოტა არ იყოს თავ-მომწონედ ეჭირა თავი; იღიმებოდა და მალ-მალე ამაყად მოავლებდა ხოლმე თვალს პალატის დარბაზს.

პრეზიდენტმა პალატისამ ნება მისცა ბულანჟეს ლაპარაკისა და ხმაურობა მალე შესწყდა დიდს დარბაზში. გენერალი დამშვიდებით წამოდგა თავის ადგილიდამ, აუჩქარებლად და დინჯად გასწია ტრიბუნისაკენ და დამშვიდებითვე ავიდა ზედ. ხელში ქაღალდის რვეული ეჭირა. გენერალი მართლა ძალიან ყმაწვილს კაცსა ჰგავს. შეხედულობით 40 წლისაზე მეტი არ უნდა იყოს. ტან-დაბალია, კარგა ჩასხმული და ცოტა ვერ ეხერხება საერო ტანისამოსი. ქერა თმები აქვს, შუაზედ გაყოფილი და მაღზედ პომადა

აქეთ-იქით გაფაციცებით მოსიარულე ხალხი ხშირად მიეხლებოდნენ ხოლმე, ხელს წამოჰკრავდნენ და ისიც ინაბებოდა, იკუნტებოდა, რომ გზა გაეხსნა, წინ არავის გასჩხირებოდა. კაცები პირში შესცქეროდნენ, ისე ახლო მიიტანდნენ ხოლმე თავს, რომ იმათს სუნთქვასა ჰგრძნობდა სახეზედ. ისე იყო დაბნეული, თითქოს მთელი ეს ქუჩა თავისის ტალახითა, თვალის ამჭრელებელ სინათლით და დაუყენებელ ეტლების რახუნითურთ აწევასა და წვიმის წუმპეში ჩაგდებას უპირობდნენო. იგი მშიერი იყო და, მაშასადამე, ვისაც რა უნდოდა, იმას უხამდა. სწორედ იმის პირდაპირ მეპურეს დუქანი იყო და იგი უყურებდა ფანჯარაში დაწყობილს პურსა, ჰფიქრობდა თავისს ქალიშვილზე, რომელსაც იქ, მაღლა ეძინა.

როცა, დასასრულ შორიდგან იმისი ქმარი გამოჩნდა რომელიც ქურდსავით ნელ-ნელა მოიპარებოდა, ცოლი მიეარდა და ნაღვლიანად დაეკითხა:

— რაო?!

ქმარმა ხმა არ გასცა და მხოლოდ მკლავები უღონოდ გაასავსავა. გაფითრებული დედაკაცი ავიდა კიბეზე, თავისს სახლში, და ქმარიც უკან გაჰყვა უხმოდ, უსიტყვოდ.

IV

ყმაწვილს აღარ ეძინა. გამოეღვიძნა, თვალ-დაშტერებით შესცქეროდა ჩამწვარს სანთელს, რომელიც სტოლის კუთხეში იდგა, და ჰფიქრობდა. ამ შვიდის წლის გოგოს სახე ხნიერს დედაკაცს მიუგავდა და მეტად შესაბრალისი, მეტად გულ-გამქენჯავი შესახედავი იყო.

იგი იჯდა სკივრის ბოლოზედ, რომელიც ლოგინადა ჰქონდა გამართული, ცივი და ტიტველა კანჭები ძირს ჩამოეკიდნა, ძვალ-ტყავა ხელებით ძონძებს იკრავდა გაღეღილს გულზედ. იქ, იმ მკერდში რაღაცა წვასა ჰგრძნობდა, რაღაც ცეცხლი ენთო, რომლის ჩაქრობაც ძალიან უნდოდა. ბავშვი ფიქრში იყო.

თავისს დღეში ტიკინები არა ჰქონოდა. სასწავლებელში ვერ დადიოდა, რადგან ფეხთ-საცმელები არა ჰქონდა. როდისლაც, როცა სულ პატარა იყო, დედა მზიან დღეში სასეირნოთ გაიყვანდა ხოლმე. მას შემდეგ ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა. მერე სახლი გამოიცვალეს. ასე ეგონა, რომ იმათ სახლში რაღაც ცივი, გამფიცხავი ქარი დაჰქროლავდა. უკანასკნელს დროს ძალიან ცუდად სცხოვრობდა, თითქმის არასოდეს არ გამაძღარა, როგორც რიგია.

იგი ჰკითხავდა თავისს თავს იმას, რაც ვერ აეხსნა, ვერ გამოერკვია. ნუ თუ ყველანი მშიერის მუცლით სცხოვრობენო? ბევრჯელა სცადა, რომ შიმშილს შეჩვეულიყო როგორმე, მაგრამ ვერ შესძლო. იმას ასე ეგონა, რომ ჯერ მეტად პატარა ვარ და სანამ არ გავიზრდები, ვერ გავიგებ შიმშილის მიზეზსაო. პატარა ბავშვებს მიზეზს ყოველთვის უმალავენ ხოლმე მაგრამ დედაჩემს-კი უეჭველად ეცოდინებაო. გამბედაობა რომ ჰქონოდა, უსიკვდილოდ დაეკითხებოდა დედას, ვინ აჩენს ქვეყნად ადამიანებს იმისთვის, რომ სულ მშიერები იყვნენო.

ესეც რომ არ იყოს, ნეტა რადა აქვსთ ასეთი ცუდი ოთახი? იგი შეჰყურებდა ფანჯარას, სადაც ნაალის მითელი იყო ჩამოკიდული და ირხეოდა, შეჰყურებდა ცივს კედლებს, ფეხებ მომტვრეულს ავეჯს, ამ სიღარიბეს, სიღატაკეს და უსაშუალობას. თავისის გულ-უბრყვილობით ისე ეგონა, რომ მხოლოდ სიზმრად მესიზმრა სხვა, თბილი ოთახები, მშვენიერის, ლაზათიანის ნივთეულობით სავსეო; თვალებსა ჰხუჭავდა, რომ კვლავ დაენახა ის ადგილი, და სანთლის სინათლე, რომელიც გასჭვერდა იმის სიფრიფანა ქუთუთოებში, რაღაც ოქროს, ან ცეცხლის ბურთად ეჩვენებოდა. ამ დროს ფანჯარაში შემოიქროლა ისეთმა ძლიერმა ქარმა, რომ ყმაწვილს ხველა აუტეხა და თვალები ცრემლით აევსო.

უწინ ეშინოდა, როცა მარტო დასტოვებდნენ ხოლმე, ეხლა-კი იმისთვის სულ ერთი იყო. რადგან გუშინდელს აქეთია არა ეჭამა-რა, ასე ჰფიქრობდა, რომ დედაჩემი პურის მოსატანად წავიდოდაო. იგი დასჭრიდა თავის პურს პაწია, სულ პაწაწა, პაწაწკინტელა ნაჭრებად და აუჩქარებლივ დაუწყებდა კრეფას შესაჭმელად თითო-თითოდ. გაეთამაშებოდა თავისს პურსა.

დედა შემოვიდა, მამაც შემოჰყვა და კარები მირაზა. ყმაწვილი გაოცებით შესცქეროდა ორივეს ხელებში, და რადგან არც ერთი იღებდა ხმასა და არც მეორე, იმან გაბმით გაჰკივლა, თითქოს მღერისო:

— მშიან, მშიან!

მამამ თავში ხელი ჩაიშინა, მიდგა კუთხეში და ქვითინი დაიწყო. დედა თან შვილს აწვენდა ლოგინში და თან ცრემლებსა ჰყლაპავდა; აფარებდა თავისს ბავშვს კონკებს, რაც-კი მოეძევებოდა, და ეუბნებოდა, რომ დაიძინე, შენ ხომ ჰკვიანი ქალი მყევხარო.

ხოლო ყმაწვილს-კი შიმშილით მუცელი ეწოდა, სიცივით კბილებს აძაგძაგებდა. უეცრივ გამბედაობა მოემატა, დედას კისერზე ხელები შემოჰხვია და ჩუმადა ჰკითხა:

— მითხარ, დედილოჯან, რადა ვართ ასე მშიერნი?!*)

ორ-ანი

*) ეს მოთხრობა დაბეჭდილია გაზ. „С.-Петерб. Вѣд."-ში 1888 წ. №№ 74 და 77.

წასმული. წვერი ფრანგულად აქვს შეკრეჭილი და სოლივით წინ წამოჭიმული. სახე მზისგან დამწვარს ჰგავს, მხნეობა ეტყობა, მაგრამ თან გულ-კეთილი მეტყველება ატყვია. კაცს ეგონება, რომ ეს კაცი ჩვეულებრივი, გულ-კეთილი კაცი უნდა იყოსო. სრულიად არ ეტყობა, რომ თავი მოჰქონდეს, იბერებოდეს, მედიდურობდეს; არც ფანატიკოსსა ჰგავს და არც ისეთს კაცს, რომელსაც სახეზედ ბეჭედი გენიოსობისა ატყვია. არაფერი არა ეტყობა-რა ისეთი, რომ უცბად დაატყვევოს თქვენი ყურადღება. ქუჩაში ან ხალხში რომ შეხვდეთ სადმე, გეგონებათ უბრალო ნოტარიუსია, ან გულ-კეთილი ბურჟუა და არა ის თავგამოდებული კაცი, რომელიც იმახის, რომ მე ვარ მხსნელი საფრანგეთისაო, რომელსაც დაუტყვევებია კაცთა გულნი და ამოდენა ხალხის თანაგრძნობა მოუპოვებია.

პირველში თითქო შეკრთა გენერალი, ვერ იყო თავის ქარქაშში ტრიბუნაზე. კარგად ჰგრძნობდა, რომ მცირეოდენი შეცდომა, ერთი უხერხული სიტყვა საკმაო იყო, რომ პალატას ჩაექოლნა, დაეთრგუნა; იცოდა, რომ აქ ბანაკი იყო მტრისა, მერე ისეთის მტრისა, რომელიც არ დაინდობდა ამისთანა კაცს. მაგრამ გენერალმა მალე მოიკრიბა ძალ-ღონე. იმისმა უხერხულმა მდგომარეობამ სულ 5—6 წუთს გასტანა. მას უკან არც ერთს წუთს სიდინჯე და დარბაისლობა არ მოჰშორებია. ამისათვის ბულანჟეს დიდი და დიდი ხასიათის სიმტკიცე დასჭირდებოდა, მეტადრე იმისთანა კაცს, რომელიც საპარლამენტო გრიგალსა და ქარტეხილებს ჩვეული არ არის.

რესპუბლიკელები თავს იკლავდნენ, ჭდლავდნენ, შფოთავდნენ, როცა ეს ორატორი კმაყოფილებით აღსავსე სახით ამაყად და თავ-მოწონებით ლაპარაკობდა: „მეო", „ჩემი სახელიო", „ერის ნება და სურვილიო". რესპუბლიკელებს უფრო ის უკლავდა გულს, რომ ამ კაცს სეტყვასავით აყრიდნენ თავ-სიცილს, უსაყვედურებდნენ, დასცინოდნენ, ზეირივით აყრიდნენ ათასს საკითხავს, აწყვეტინებდნენ სიტყვას და ის-კი შეურყეველივით იდგა, იღიმებოდა და თავისას განაგრძობდა. როცა მეტის-მეტს ხმაურობას ასტეხდნენ, ორატორი შედგებოდა ხოლმე, დასდებდა ხელ-ნაწერს კათედრაზე, დაიკრებდა გულ-ხელს და უცდიდა, როდის შესწყვეტენ ხმაურობას, რომ კვლავ დაიწყოს კითხვაო.

როცა ბულანჟემ გაათავა თავისი მანიფესტი, როგორც კლემანსომ უწოდა იმის სიტყვას, გენერალი ისევ იმავე დამშვიდებით წავიდა, დაიჭირა თავისი ალაგი პაას ახლო, ლაგერსა და ლეზანს შუა, და დაიწყო აქეთ-იქით ყურება: აბა ვნახო, როგორ იმოქმედა პალატაზე ჩემმა სიტყვამაო.

უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოებას მოეწონა იმისი თავ-დაჭერილი ყოფაქცევა, სიმტკიცე და დამშვიდებული ლაპარაკი, მაგრამ პალატა-კი ძალიან გაგულისებული იყო. კლემანსო აღელვების გამო მთელის საათის განმავლობაში სასტიკად იღრღნიდა თითის ფრჩხილებს; ფერრი დაჰყურებდა პიუპიტრას და ძალის ძალაზედ ითმენდა, რომ არ გაეწყვეტინებინა სიტყვა ბულანჟესათვის. ისეთი დინჯი და გულ-ცივი კაცნიც-კი, როგორიც არის ბრისონი, ვეღარ ითმენდნენ და ჩაერეოდნენ ხოლმე სიტყვიერს ბრძოლა-კამათობაში.

ბოლოს დადგა დრო კლემანსოსა და ფლოკეს ლაპარაკისაცა. ვინც ეს სიტყვა წაიკითხა, იმას ნახევარიც არ ექნება გაგებული იმისი, რასაც გაიგებდა, რომ თვით მოლაპარაკე ორატორისაგან მოესმინა. უნდა გენახათ მთავარ-მინისტრი ფლოკე, როცა ლაპარაკობდა, უნდა გენახათ იმისი მიხვრა-მოხვრა, იმისი წარმოსადეგობა, იმისი გულის-წყრომით აღელვებული სახე, უნდა მოგესმინათ, რა ქუხილის სიტყვებითა ამცნევდა ბულანჟეს იმის ვერაგობას, იმის მედიდურობას, სიყალბეს, და მაშინ მიხვდებოდით, რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო მაშინ გმირი-გენერალი.

დანარჩენი ხომ უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა და ამიტომ ამაზე შევწყვეტთ აქ იმ კრების ამბავს.

## წვრილი ამბები

ბერლინის გაზეთები შემდეგს ამბავს გვარდმოგვცემენ: ამას წინად იმპერატორმა ფრიდრიხმა, აწ გარდაცვალებულმა, ნახა ექვსის წლის ინგლისელი პერლი-დრესელი, რომელსაც ისეთივე ავადმყოფობა აქვს, როგორიც იმპერატორსა. წარსულს წელს ექიმს მეკენზის ამ ბავშვისათვის ყელი ამოუჭრია, ოპერაცია საუკეთესოდ მოსვლია და ექვსის წლის ყმაწვილი აუცილებელს სიკვდილს გადარჩენილა. იმპერატორმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე სთხოვა თურმე მეკენზის, რომ მაჩვენეთ როგორმე ის ყმაწვილიო. ამას წინად ეს ყმაწვილი მისულა ბერლინში დედითურთ და მაშინვე უნახულნია იმპერატორს. ფრიდრიხს დაწვრილებით გამოუკითხავს, რა სენი გჭირდა, ვინ როგორ გარჩენდაო, და დიდ-ძალი ტკბილეულობა და საჩუქრები მიუცია. გამოთხოვებისას-კი იმპერატორს ხელი გადაუსვია ბავშვისათვის თავზედ და უთქვამს: საბრალოვ, საბრალოვ, მეტად მეცოდები, რომ ეხლავე დაიტანჯები ამ საშინელის ავადმყოფობითო. იმედი მაქვს, რომ ჩქარა მორჩები და გამოვლილი ტანჯვა-წამებაც მიგავიწყდებაო.

— ბოლგარიის მთავრობას განუზრახავს მონაწილეობა მიიღოს პარიჟის მსოფლიო გამოფენაში 1889 წელს. ხოლო უწინარეს ყოვლისა უთხოვნიათ, რომ გამოფენაზედ ბოლგარელთა ნივთები განსაკუთრებულად ეწყოს და ოსმალეთის ნივთებთან ნუ მოათავსებთო.

— გერმანიის იმპერატრიცა ვიქტორიას უბრძანებია, რომ ყველა ჩემდამი წარმოგზავნილს წერილებს გოფმარშალს ნუ გარდასცემთ და პირდაპირ მე მომართვით ხოლმეო.

— პარიჟში ოქტომბერს უნდა გახსნან და აკურთხონ თავ-შესაფარი, დაარსებული განსვენებულის რასსინის მიერ მოხუცებულ დრამისა და ოპერის არტისტებისათვის, თუ ეს არტისტები ან საფრანგეთის და ან იტალიელის შთამომავლობისანი იქმნებიან. რასსინიმ ორის მილიონის მანათის ქონება უანდერძა და სიტყვა დააგდო: ეს ქონება ფულად გარდააქციეთ და ამ ფულის ერთის ნაწილით თავ-შესაფარი ააშენეთ იმ არტისტებისათვის, რომელნიც სამოცს წელს გარდაცილებულნი არიანო. ეს შენობა აგერ რამდენიმე წელიწადია შენდება და საცაა დაასრულებენ. შენობაში სულ 110 ოთახი იქნება, კარგად მოწყობილი და მომართული. სახლთანვე გააშენებენ მშვენიერს ბაღსაცა. იმ არტისტებს, რომელთაც სახელოვნად მიუღწევიათ 60 წლამდე, ამ თავ-შესაფარში, არამც თუ მუქთი სადგომი ექნებათ, არამედ მუქთივე საჭმელ-სასმელი და ტანისამოსიც-კი მიეცემათ.

— მაინის ფრანკფურტში მცხოვრებელს ქიმიკოსს კრიგენერს ახირებული უბის წიგნი გამოუგონია, რომელიც ამასთანავე სურათების გადასაღები იარაღიც არის თურმე. ამ იარაღის საშუალებით ყველა გამვლელ-გამომვლელის უეცრად გადაღება შეიძლება. ეს იარაღი მით უფრო ადვილად სახმარი და გამოსაყენებელია, რომ ჯიბეში შეიძლება ჩაიდოს კაცმა და ისე ატაროს. უბის წიგნი სამ-უჯრიანია. შუაში სურათის გადასაღები იარაღია, მეორე უჯრაში აწყვია 35 სურათის გადასაღები მასალა, ხოლო მესამეში—მომზადებული სურათები.

# დეპეშა

6 ივნისი

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმ მეორე ერის მიმართ პროკლამაციაში აცხადებს: „ავედი რა ჩემთა წინაპართა ტახტზე, მე ყოვლად შემძლებელზე დაიმედებულმა ვიტვირთე მმართველობა გერმანიისა და აღვთქვი, რომ ვიქნები სამართლიანი, მოწყალე, ღვთის მოსავი და მშვიდი ხელმწიფე; ვეცდები დავიცვა მშვიდობიანობა, ხელი მოვუმართო ქვეყნის კეთილდღეობას, დავეხმარო ღარიბთა და ჩაგრულთა და ვიქმნე ერთგული მოსამსახურე სიმართლისა". შემდეგ იმპერატორი ამბობს, რომ მე ვენდობი უკვე ნაცადს ერთგულებას პრუსიის ერისასა. სიყვარული ერსა და მეფეს შორის დაუშრეტელი წყარო ჩემთვის იმ იმედისა, რომ ღმერთი მომანიჭებს სიმხნესა და სიბრძნესაო.

შესწორება. ბონაპარტელმა ქელიბერმა მიიღო არჩევანზე 31,401 ხმა და არა 31,040.

7 ივნისი

პეტერბურგი. იმპერატორის ფრიდრიხის გარდაცვალების გამო უმაღლესად ებრძანა პეტერბურგის გრენადერთა და 33 დრაგუნთა პოლკებს და აგრეთვე იმპერატორის ვილჰელმ I კალუგის პოლკს იგლოვონ 4 კვირის განმავლობაში.

იმპერატორი ვილჰელმ II დაინიშნა პეტერბურგის გრენადერთა პოლკის შეფად. 85 ქვეითა პოლკს გერმანიის პრინცისას უმაღლესად ებრძანა იწოდებოდეს 85 ქვეითა პოლკად გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორისად. 33 დრაგუნთა პოლკს გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხისას—33 დრაგუნთა პოლკად.

გუბერნატორებს სთხოვეს განკარგულება მოახდინონ საყოველთაოდ, რომ ვინც-კი დაბალის ჩინის ჯარისკაცნი შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისანი არიან, თუ ვინიცობაა მიწვეულ იქმნან სასწავლოდ ჯარში, არ დარჩნენ უადგილოდ და თავიანთ თანამდებობაზე მაინც უთუოდ ირიცხებოდნენ.

„Нов. Вр." იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ გარდასწყვიტა ციმბირის უნივერსიტეტის დაარსების საქმეო. უნივერსიტეტი უნდა დაარსდეს ტომსკში; ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამედიცინო ფაკულტეტი დაარსდება; საერო განათლების მინისტრს მიენდობა, მისცეს ნება უნივერსიტეტში შესვლისა სასულიერო სემინარიების მოსწავლეთაცა, რომელნიც-კი ისე იქმნებიან მომზადებულნი, როგორც მინისტრი დაინახავს საჭიროდ.

„Новости" იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი იმ წესისა, რა წესითაც უნდა შეიცვალოს საგუბერნიო დაწესებულებანი ტობოლსკისა, ტომსკისა, ენისეისკისა და ირკუტსკის გუბერნიებში. პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს ისეთის ვარაუდით, რომ ახალის შტატების შემოღება შესაძლო იყოს 1889 წლის პირველ იანვრიდამ.

### პეტერბურგის ბირჟა, 3 ივნისი

| | მყიდველ-სა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 08 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 182½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 273¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
თიბათვე 30 დღით არის.

8 დღე ოთხშაბათი. წმ. ეფრემისა და დოდოსი. კათოლ. ეპ. მედარდასი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—28. მთვარე 12 დღისაა.

9 დღე ხუთშაბათი. წმ. კირილესი, ალექსანდრესი და მართასი. კათოლ. ფელიციატესი. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 13 დღისაა.

10 დღე პარასკევი. წმ. ტიმოთესი და ანტანინასი. კათოლ მარგარიტასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-13 დღე თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 14 დღისაა.

11 დღე შაბათი. მიცვალებულთა კურთხევისა და მოხსენების დღე. კათოლ. წინასწარ. მეტყ. იერემიასი. სომ. ნახატონაქი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 15 დღისაა.

12 დღე კვირა. წმ. სამება. კათოლ. სულის წმიდის მოსვლის დღე. სომეხ. ჰოქეგალუსტი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ხელ-შეკრულობა დაიდვა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც ქართლი და კახეთი ოსმალეთის სამფლობელო შეიქმნა, 1724 წ.—ხელ-შეკრულებავე დაიდვა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც რუსეთს დარჩა კასპიის ზღვის ნაპირები, ხოლო ოსმალეთს—საქართველო, ერევნისა, კაზვინისა და თავრიზის პროვინციები, 1724 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 16 დღისაა.

13 დღე ორშაბათი. წმ. ანნასი. კათოლ. ლიუციანასი. სომეხ. ალების ლამე წმ. ილიას მარხვისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 17 დღისაა.

14 დღე სამშაბათი. წინასწარ.-მეტყ. ელისესი. კათოლ. წინასწ. ელისესივე. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 18 დღისაა.

15 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ამოსისა. კათოლ. იესოს გულისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 19 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამზოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭირო არის, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

სომეხთ სასულიერო

## ნერსესიანის

სემინარიის სამზრუნველო საბჭოში 15 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, ხელმეორედ დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით იქმნას გაცემული 21 დუქანი, რომელიც აშენებულია სემინარიის მეიდანზე, სომეხთა ვანქის ეკკლესიის ახლოს. პირობის შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—1)


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორის მაგიერი თ. რ. ერისთავი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე